

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ვ ა მ ტ კ ი ც ე პ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჯაფარიძე

ზურაბ ბუცხრიკიძე

„02“ 12 „ 2014 წელი

ეგზ. № 1

ონის მუნიციპალიტეტის

2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის

ანგარიში *✓ 41/00*

2014 წელი

შინაარსი

აუდიტის ობიექტი	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	4
ონის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა.....	5
ონის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.....	6
მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი:.....	7
ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა.....	7
სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა.....	8
ძირითადი საშუალებების ცვეთა.....	9
ინვენტარიზაცია	10
შიდა კონტროლის სისტემა.....	12
უარი მოსაზრების გამოთქმაზე.....	14
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	14
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები	14

აუდიტის ობიექტი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ონის მუნიციპალიტეტის 2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტი. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების¹ მიხედვით თვითმმართველმა ერთეულმა უნდა მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს შემდეგ ანგარიშებს:

ორგანიზაციის ბალანსი	• ფორმა №1
ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	• დანართი ფორმა №2
ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ	• დანართი ფორმა №2-1
ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ	• დანართი ფორმა №2-2
ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ	• დანართი ფორმა №3
ანგარიში სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ	• დანართი ფორმა №4
ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ	• დანართი ფორმა №4-1
ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ	• დანართი ფორმა №5
ორგანიზაციის ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებების შესახებ	• დანართი ფორმა №5-1
ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე	• დანართი ფორმა №6

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ონის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს შემდეგი მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის შესაბამისად: „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28

¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება, „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანება და სხვ.

აღნიშნული პასუხისმგებლობა ასევე გულისხმობს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი აუდიტის საფუძველზე გამოთქვამს მოსაზრებას ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ჩატარებულია აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით და აუდიტორების მიერ დაცულ იქნა ყველა ის ეთიკური მოთხოვნა, რომელთაც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა და სხვა მარეგულირებელი ნორმები.

აუდიტის მიმდინარეობისას ტარდება პროცედურები აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე, მათ შორის, აუდიტის ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა ნორმატიულ აქტებთან შეუსაბამობის რისკების შეფასებაზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი აუდიტის ობიექტის საქმიანობის კანონშესაბამისობისა და მართლზომიერების უზრუნველყოფისათვის, რათა დაგეგმოს მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული

პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ონის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა

ონის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 19 ტერიტორიულ ერთეულს, მათ შორის: ერთ ქალაქს, 16 თემს და 2 სოფელს. ონის მუნიციპალიტეტის ფართობია 171.2 ათასი ჰექტარი. მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 8.1 ათასს კაცს². ადმინისტრაციული ცენტრია ქ. ონი.

ონის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის³, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2012-2013 წლებში ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 10416.2 ათასი ლარით განისაზღვრა. აქედან, შემოსავლები და არაფინანსური აქტივების კლება წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

ცხრილი 1. ბიუჯეტის შემოსულობები

(ათასი ლარი)


დასახელება	2012 წელი	2013 წელი	სულ
შემოსავლები	5049.3	5339.9	10389.2
გადასახადები	89.6	74.3	163.9
გრანტები	4759.1	5115.2	9874.3
სხვა შემოსავლები	200.6	150.4	351.0
არაფინანსური აქტივების კლება	26.4	0.6	27.0

² წყარო: www.nala.ge, www.geostat.ge

³ აღნიშნული კანონი მოქმედებდა აუდიტის პერიოდში, ხოლო 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მოქმედებს - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.

შემოსულობებში ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები. 2012-2013 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების თანაფარდობას აქვს შემდეგი სახე:

დიაგრამა 1. ბიუჯეტის შემოსულობები



ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2012-2013 წლებში ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 9038.8 ათასი ლარი. მათ შორის, ხარჯები იყო 4730.0 ათასი ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდა - 4308.8 ათასი ლარი.

ონის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ის ახორციელებს ინფრასტრუქტურულ, სოციალურ-კულტურულ, სკოლამდელი განათლებისა და სხვა ღონისძიებებს, ხოლო სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ ონის მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებულია შემდეგი უფლებამოსილებები: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ✓ საბიუჯეტო პროცესის განხორციელება (საბიუჯეტო ურთიერთობა და პასუხისმგებლობა);
- ✓ ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, განაკვეთების განსაზღვრა და ამოღება;

- ✓ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- ✓ იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია;
- ✓ მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- ✓ სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი:

ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა

კრიტერიუმი

ონის მუნიციპალიტეტი საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების⁴ შესაბამისად, ვალდებულია დადგენილ ვადებში მოამზადოს პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგებები, სადაც უნდა აისახოს ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

არსებული მდგომარეობა

2012-2013 წლებში ონის მუნიციპალიტეტში არ ადგენდნენ პერიოდულ და წლიურ ფინანსურ ანგარიშგებებს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ეს განპირობებულია იმით, რომ ის არ იცნობდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებას. მისივე განმარტებით, არც არავის მოუთხოვია ამ ბრძანებით განსაზღვრული ბალანსისა და ბალანსის დანართი ფორმების მომზადება, თუმცა აღნიშნული მიზეზი არ არის საკმარისი არგუმენტი პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგებების მოუმზადებლობისათვის.

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ წარედგინება ზუსტი და სრული ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური და არაფინანსური აქტივების, მოთხოვნების, ვალდებულებებისა და კაპიტალის შესახებ. აღნიშნულის შედეგად გამგეობის ზემდგომი ორგანო და სხვა დაინტერესებული მხარეები ვერ ახდენენ წლიური ფინანსური შედეგების განხილვას, შეჯამებას, გასული და მიმდინარე წლების ფინანსური მდგომარეობის შედარებას და ანალიზს, რაც უზრუნველყოფს დასაგეგმი წლისათვის აქტივების რაციონალურ და ეფექტიან ხარჯვა-გამოყენებას, რეზერვების გამოვლენას და მობილიზებას. ხელმძღვანელობისთვის არ არის ხელმისაწვდომი მუნიციპალიტეტის რეალური ფინანსური სურათი.

სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა

კრიტერიუმი

ორგანიზაციაში ეკონომიკური მოვლენებისა და ნაკადების აღრიცხვის მიზნით, ონის მუნიციპალიტეტი ვალდებულია იხელმძღვანელოს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციით. ამავე ინსტრუქციით განსაზღვრულია ანგარიშების გეგმა, რომელიც ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს სხვადასხვა ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვისთვის. პირველად დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია გროვდება და სისტემატიზირდება სააღრიცხვო რეგისტრებში, რომლებიც შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთო მეთოლოგიური პრინციპების დაცვით და ბუღალტრული ანგარიშგების შედგენის საფუძველია.

არსებული მდგომარეობა

საფინანსო სამსახურის მიერ არ ხდება საბუღალტრო აღრიცხვის სწორი ორგანიზაციის უზრუნველყოფა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მუნიციპალიტეტში არ განხორციელებულა ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვა ბიუჯეტიდან მიღებული და კანონმდებლობით განსაზღვრული დაფინანსების სხვა წყაროების მიხედვით. ასევე არ ხდება

ბუღალტრული გატარებების წარმოება, შესაბამისად, მათი გადატანა მემორიალურ ორდერებსა და მთავარ წიგნში. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის დოკუმენტაცია.

გავლენა

იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტში არ წარმოებს სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა, შეუძლებელი ხდება ბალანსისა და მისი დანართი ფორმების მომზადება, აქედან გამომდინარე, არსებობს მაღალი რისკი, რომ მუნიციპალიტეტის მიერ არასათანადოდ ხორციელდება:

- ✓ ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების, არაფინანსური აქტივების აღრიცხვა;
- ✓ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან სამეურნეო ოპერაციების შედეგად ანგარიშსწორებათა სრული და დროული აღრიცხვა; მომუშავეთა შრომის ანაზღაურებისა და სხვა გასაცემლების დროული დარიცხვა;
- ✓ წმინდა ღირებულებისა და საკუთარი კაპიტალის აღრიცხვა;
- ✓ ბუღალტრული აღრიცხვის მატერიალური/ელექტრონული ფორმის დოკუმენტების დადგენილი წესით შენახვა და არქივში ჩაბარება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიერ არ შესრულდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების მოთხოვნები.

ძირითადი საშუალებების ცვეთა

კრიტერიუმი

ონის მუნიციპალიტეტი საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანების⁵ შესაბამისად, ვალდებულია საკუთარ ბალანსზე არსებულ ძირითად აქტივებს დაარიცხოს ცვეთა და ასახოს ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებაში.

⁵ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანება.

არსებული მდგომარეობა

2012-2013 წლებში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ აქტივებს ცვეთა არ დარიცხვია და აქედან გამომდინარე, არ მომხდარა მისი აღრიცხვა ბუღალტრულად. პასუხისმგებელი პირი ვერ განმარტავს აღნიშნულის მიზეზს.

გავლენა

ექსპლოატაციაში მყოფ არაფინანსურ აქტივებზე ცვეთის დაურიცხაობის გამო, მუნიციპალიტეტი არ ფლობს ინფორმაციას მისსავე საკუთრებაში არსებული ძირითადი აქტივების რეალური (საბალანსო) ღირებულების შესახებ. ასევე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საანგარიშო წლის ბოლოს ძირითადი აქტივის ფიზიკური ცვეთა არ არის აღიარებული ხარჯად. შესაბამისად, ეს ხარჯი არ ასახულა ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთისა და ძირითადი აქტივების ანგარიშებზე. ამდენად, აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადების შემთხვევაში, ეს ყოველივე გავლენას მოახდენდა მასში წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტესა და უტყუარობზე.

ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანების⁶ შესაბამისად, ინვენტარიზაციას ექვემდებარება ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული აქტივები და ვალდებულებები, აგრეთვე ბალანსის საცნობარო მუხლებში აღრიცხული საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები, პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები, ხარჯებში ჩამოწერილი ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგები და ამორტიზებული ძირითადი აქტივები. მინისტრის ბრძანების შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტი ვალდებულია, ინვენტარიზაცია ჩაატაროს და დაასრულოს საანგარიშგებო პერიოდის (საბიუჯეტო წლის) ბოლოს.

ინვენტარიზაციის დაწყების დღისათვის საბუღალტრო და უფლებამოსილი სამსახური ვალდებულია, დაასრულოს შემოსავალ-გასავლის ყველა დოკუმენტის

⁶ „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

დამუშავება, შესაბამისი ჩანაწერები შეიტანოს ანალიზური აღრიცხვის ბარათებში (წიგნებში), გამოიყვანოს ნაშთები ინვენტარიზაციის დაწყების დღისათვის და მიაწოდოს საინვენტარიზაციო კომისიას.

არსებული მდგომარეობა

ჩატარებული აუდიტორული პროცედურებითა და პასუხისმგებელი პირების განმარტებით გამოვლინდა, რომ 2012-2013 წლებში ონის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესაბამისად. კერძოდ:

- ✓ 2012 წელს ინვენტარიზაცია ჩატარდა მხოლოდ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში არსებულ ინვენტარს, ხოლო 2013 წელს შენობაში არსებულ ინვენტარს და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ავტომობილებს, რადგან ინვენტარიზაციის შესახებ საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით⁷ გათვალისწინებული იყო მხოლოდ თვითმმართველობის ორგანოების ინვენტარის აღწერა. შესაბამისად, არ განხორციელებულა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვა ქონების ინვენტარიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ ბრძანებით იყო გათვალისწინებული, კომისიას არ აღუწერია ტერიტორიული ორგანოების ადმინისტრაციულ შენობებში განთავსებული ინვენტარი.
- ✓ საფინანსო სამსახურის მიერ არ მომხდარა ნაშთების გამოყვანა ინვენტარიზაციის დაწყების დღისათვის და მისი მიწოდება საინვენტარიზაციო კომისიისათვის.
- ✓ ბუღალტრული ნაშთების არარსებობის გამო, ვერ მოხერხდა შედარების უწყისების შედგენა და სხვაობის დადგენა საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემებსა და ინვენტარიზაციით დადგენილ ფაქტობრივ ნაშთებს შორის.
- ✓ 2012-2013 წლებში ინვენტარიზაცია დასრულდა დაგვიანებით, კერძოდ, 2013 წლის 19 მარტს და 2014 წლის 11 თებერვალს, მაშინ როდესაც

⁷ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება №231, 17 დეკემბერი, 2012 წელი; ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება №219, 2 დეკემბერი, 2013 წელი.

საინვენტარიზაციო კომისიის უფლებამოსილების ვადა განსაზღვრული იყო საანგარიშგებო წლის 30 დეკემბრამდე.

გავლენა

აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი ვერ უზრუნველყოფს ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლს, ორგანიზაციის მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმებას, მის საკუთრებაში არსებული აქტივების ეფექტიან გამოყენებას, გამოუყენებელი აქტივების გამოვლენას, არაფინანსური აქტივების ექსპლოატაციის წესების დაცვას. ინვენტარიზაციის პროცესის ხარვეზებით წარმართვამ ხელი შეუშალა აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზური აღრიცხვისა და კონტროლის გაუმჯობესებას.

ამდენად, მუნიციპალიტეტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით არ ახორციელებს ინვენტარიზაციას. არსებობს მაღალი რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არაფინანსური და ფინანსური აქტივების, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობების შენახვისა და დაცვის პირობების დარღვევის, დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები. აგრეთვე ინვენტარიზაციის აღნიშნული ფორმით ჩატარება (არ მომხდარა შედარება ფაქტობრივ ნაშთებთან) ვერ უზრუნველყოფს ინვენტარიზაციის მიზნების მიღწევას.

შიდა კონტროლის სისტემა

კრიტერიუმი

მუნიციპალიტეტში დანერგილი უნდა იყოს შიდა კონტროლის სისტემა, რათა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების⁸ შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნეს:

- ✓ კონტროლი ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებაზე;
- ✓ მომუშავეთა შრომის ანაზღაურებისა და სხვა გასაცემლების დროულ დარიცხვასა და კონტროლი მათ გაცემაზე;

⁸ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია, მუხლი 4, პუნქტი 1.

- ✓ კონტროლი ეკონომიკური მოვლენების შესახებ პირველადი დოკუმენტების დროულ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებაზე.

კონტროლის მექანიზმები აუდიტის ობიექტისათვის იმ მიზნების მიღწევის საშუალებაა, რომლებიც გულისხმობს საიმედო ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, მისი საქმიანობის შედეგიანობასა და მიზანშეწონილობას, აგრეთვე კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობას.

არსებული მდგომარეობა

აუდიტის ობიექტის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მუნიციპალიტეტში არსებული შიდა კონტროლის მექანიზმები ზოგ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს უზუსტობებისა და შეცდომების გამოვლენას ან მათ თავიდან აცილებას. ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით გამოვლინდა გარკვეული უზუსტობები, რომლებიც ადასტურებს შიდა კონტროლის ნაკლოვანებას. აღნიშნული საკითხები დეტალურად განხილულია ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის ანგარიშში. გამოვლენილი ხარვეზებიდან რამდენიმე მაგალითის სახით წარმოდგენილია ქვემოთ:

- ✓ 30 შემთხვევაში ისეთი მიმწოდებლებისათვის, რომლებიც არ იყვნენ დღგ-ის გადამხდელები, ანაზღაურებულია დღგ-ის თანხა. ასევე გამოვლენილია 7 შემთხვევა, როდესაც მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლებისთვის ანაზღაურებული თანხა აღემატებოდა მათ მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებას.
- ✓ გამგეობის 47 თანამშრომელზე შესაბამისი ბრძანების გარეშე გაცემულია პრემია. ასევე, საანგარიშო პერიოდში არასწორად განისაზღვრა დარიცხული საშემოსავლო გადასახადი.
- ✓ მუნიციპალიტეტმა შპს-ისაგან მიიღო და გახარჯა საწვავი, ხოლო შესაბამისი ხელშეკრულება გააფორმა მოგვიანებით.

გავლენა

არსებული კონტროლის მექანიზმები ზოგ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს უზუსტობების პრევენციას, გამოვლენასა და გამოსწორებას. აღნიშნული გავლენას

ახდენს საფინანსო სამსახურის ფუნქციების განხორციელებაზე, მატერიალური და ფინანსური რესურსების მიზნობრივ გამოყენებაზე. ყოველივე ეს აისახება ზუსტი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე.

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

„მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის“ აბზაცში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები

აუდიტორი: ირაკლი გოგოლიძე		ხელმოწერა	02.12.2014	თარიღი
------------------------------	---	-----------	------------	--------

აუდიტორი: თეა არველაძე		ხელმოწერა	02.12.2014	თარიღი
---------------------------	---	-----------	------------	--------

აუდიტორი: პაატა კუბლაშვილი		ხელმოწერა	02.12.2014	თარიღი
-------------------------------	---	-----------	------------	--------

აუდიტორ-ასისტენტი: თათია ამბროლაძე		ხელმოწერა	02.12.2014	თარიღი
---------------------------------------	---	-----------	------------	--------